ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ნოემბერი _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ფალიაშვილის ქუჩა/ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა №29 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა №33 შენობის სამხრეთით; ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ------- ნოემბრის ---------- წერილობითი მომართის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა/ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა №29 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა №33 შენობის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონებიდან ნაწილის (საკადასტრო კოდის №03.03.21.---; ფართობი - 9030კვ.მ) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების სარგებლობის საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული №2000102722 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი №007784722; 09.11.2022წ. დასკვნის შესაბამისად, რომელიც 1კვ.მ-ზე შეადგენს 77 (სამოცდაჩვიდმეტი) ლარს.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
ფალიაშვილის ქუჩა/ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა №29 შენობის
სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა №33 შენობის სამხრეთით;
ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე, მათ შორის ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა/ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა №29 შენობის სამხრეთით/ფალიაშვილის ქუჩა №33 შენობის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონებაზე (დაზუსტებული ფართობი 9030.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის N03.03.21.). სამუშაოების დასრულების შემდგომ ნაწილი ფართის გამოიყენება აღარ მოხდება ავტოსადგომის ფუნქციური დანიშნულებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ბიუჯეტში შემოსავლის მობილიზებისათვის მიზანშეწონილია ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (საკადასტრო კოდის N03.03.21.---; ფართობი - 9030კვ.მ) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გაცემა. ქონების სარგებლობის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული №2000102722 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი №007784722; 09.11.2022წ. დასკვნის შესაბამისად, რომელიც შეადგენს 77 (სამოცდაჩვიდმეტი) ლარს.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი